ჩემპიონატი

დღეს სტადიონზე

დღეს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე **თბილისის "დინამოსა" და ლენინგრადის "ელექტრიკის"** ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები ჩაატარებენ მეხუთე კალენდარულ მატჩს სსრკ პირველობაზე.

სსრკ პირველობისა და თასის გათამაშების ისტორიაში თბილისის "დინამო" და ლენინგრადის "ელექტრიკი" ერთმანეთს შეხვდნენ ხუთჯერ, აქედან 2 მატჩი მოიგო "ელექტრიკმა", 2 – "დინამომ", ერთი კი ფრედ დამთავრდა.

დღეს მოწინააღმდეგენი საფეხბურთო მოედანზე გამოვლენ შემდეგი შემადგენლობით:

ლენინგრადის "ელექტრიკი"– ნაბუტოვი, ანცვიფეროვი, მედვედევი, ბოდროვი, ლემეშევი, იაბლოჩკინი, კარასი, ორეშკინი, გუსევი, სმირნოვი და ლატდკოვი.

თბილისის "დინამო" – დოროხოვი, შავგულიძე, გაგუა, კიკნაძე, ფროლოვი, ჯორბენაძე, ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ჯორჯიკია და ხარბედია.

დასაწყისი 5 საათსა და 30 წუთზე.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 4 ივნისი, 1939 წ.